

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

“მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ”
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”
საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს საბაჟო კოდექსის გაუქმებამ და საქართველოს საგადასახადო კოდექსთან მისმა შერწყმამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ურთიერთშესაბამისობაში იქნეს მოქვანილი ახალი საგადასახადო კოდექსი და “მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით რედაქციულად იხვეწება და ტერმინოლოგიურ ცვლილებას განიცდის “მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონის დებულება, კერძოდ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ტერმინი „საბაჟო მოსაკრებელი“ იცვლება ტერმინით „საქონლის დეკლარირების მოსაკრებელი“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ხარჯებთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის,

